პროექტი

წესდება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წალენჯიხის სათნოების სახლი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წალენჯიხის სათნოების სახლი“ (შემდგომში - ორგანიზაცია) დაფუძნებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“-ს შესაბამისად.
2. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
3. ორგანიზაციას აქვს ბეჭედი და ბლანკი, დამოუკიდებელი ბალანსი და საბანკო ანგარიში.
4. ორგანიზაცია შექმნილია მერიის ქონების საფუძველზე და მის კონტროლს ახორციელებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სამსახურის მეშვეობით კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ორგანიზაციის სრული სახელწოდება და მისამართია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წალენჯიხის სათნოების სახლი“, საქართველოს ქ. წალენჯიხა, სალიას ქ.#5. ელ ფოსტა: satnoebissakhli@gmail.com

მუხლი 2. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები

ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებია:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთ უფასოდ კვების ორგანიზების უზრუველყოფა დამტკიცებული წესის შესაბამისად:

ბ) სოციალურად დაუცველ პირთა ხელშეწყობა;

გ) სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოებასთან ადაპტაციის მიზნით სპეციალური პროგრამების მომზადება და განხორციელება;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დამხარების კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება.

მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ორგანიზაციას მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დაადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემა;
დ) თავდებობა;
ე) ორგანიზაციაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებების მიღება თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
2. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება ორგანიზაციის ჩვეულებრივ საქმინობას, მოითხოვს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობას.

მუხლი 4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად 3 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს (ხელახალი დანიშვნის უფლებით) და ათავისუფლებს მერი, მის მიმართ იღებს დისციპლინურ და წამახალისებელ ზომებს.
2. დირექტორი:
ა) ორგანიზაციის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულმ მოვალეობას, პასუხს აგებს სამასახურის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად;
ბ) პასუხს აგებს სამსახურის საქმიანობაზე;
გ) მერს დასამტკიცებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთებს;
დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;
ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
ვ) საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად ნიშნავს (დებს შრომით ხელშეკრულებებს) და ათავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინურ და წამახალისებელ ზომებს;
ზ) კომპენტეციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს ბრძანებას, ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, აკონტროლებს მათ შესრულებას; კანონის შესაბამისად ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;
თ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
ი) წელიწადში ორჯერ (აგრეთვე მოთხოვნის საფუძველზე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს;
კ) ახორციელებს კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურის სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებელად იმოქმედოს სამსახურის სახელით და წარმოადგინოს სამსახური მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით.
6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა სამსახური ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა სამსახურში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.
7. დირექტორს უფლება არა აქვს პირადი სარგებლობის მიღების მიზნით გამოიყენოს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.
8. ორგანიზაციის საქმიანობის:
ა) საერთო ზედამხედველობას ახორციელებს მერი;
ბ) კოორდინაციას მერია ხორცილებს მუნიცპალიტეტის მერიის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის მეშვეობით.
9. ორგანიზაციის დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორცილების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორცილების შეუძლებლობისას დირექტორის მოვალეობას ასრულებს ორგანიზაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.
10. ორგანიზაციის დირექტორი წარმოადგენს ელექტრონული პორტალის მართვაზე უფლებამოსილ პირს.

მუხლი 5. ორგანიზაციის ადმინისტრაცია და თანამშრომლები

1. ორგანიზაციის მიზნების, ფუნქციების შესასრულებლად და გამართულად მუშაობისათვის იქმნება ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.
2. ორგანიზაციის თანამშრომლები ახორციელებენ ამ წესდებით, შრომითი ხელშეკრულებით, შრომის შინაგანაწესით, დირექტორის ბრძანებით, (კურატორი მოადგილის, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული მოვალეოებებს.
3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები განიზღვრება შრომითი ხელშეკრულების, ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესის, სამუშაო აღწერილობის და დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად.

44273169

4. ადმინისტრაციის თანამშრომელს თანამდებობაზე ნიშნავს (შრომითი ხელშეკრულებას აფორმებს) და ათავსუფლებს ორგანიზაციის დირექტორი.

მუხლი 6. შემოსავლები (ფინანსური სახსრები) და ქონება

1. ორგანიზაციის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს;
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი (სუბსიდიის სახით მიღებული) მიზნობრივი თანხები;
ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.
2.ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
3.ორგანიზაციას უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

მუხლი 7. ორგანიზაციის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით აწარმოოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად მერს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

მუხლი 8. ორგანიზაციის კონტროლი

1. ორგანიზაციის:
ა) საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განსახორციელებელი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
ბ) კონტროლს ახორციელებს მერი მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით;
გ) დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.
2. მერი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ორგანიზაციის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი9. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ლიკვიდაციიის შედეგად დარჩენილი ქონება გადანაწილდება საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. წესდება, საშტატო ნუსხა და მათში ცვლილებების შეტანა

წესდება, ორგანიზაციის საშტატო ნუსხა მტკიცდება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
2. ამ წესდების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორცილედება მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.